საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტკვრის ნაფოტა

მტკვრის ნაფოტა

მტკვრის ნაფოტა (Rutilus rutilus kurensis Berg, 1932), გამსვლელი ქარავნული თევზი, კავკასიის ენდემი. მისი სიგრძეა 37 *სმ*, მასა – 550 *გ*, იშვიათად 700 *გ*-მდე. სქესობრივად მწიფდება 2–6 წლიდან, უმეტეს დროს ატარებს ზღვაში, მდინარეებში. მრავლდება სხვადასხვა დროს (ადგილმდებარეობის მიხედვით) მარტიდან-ივნისამდე, ნაყოფიერება – 1000–55000 ქვირითი. ლიფსიტები იკვებებიან უმეტესად პლანქტონით, კიბოსნაირებით, კლადოცერებით, ნიჩაბფეხიანებით, თევზები – მოლუსკებით, კიბოსნაირებით, ჭიებით და დღიურას ჭუპრებით.

საქართველოში გავრცელებულია მდინარეებში – მტკვარი, ხრამი, იორი, ალაზანი, ასევე თბილისის წყალსაცავსა და ჯანდარის ტბაში. მნიშვნელოვანი სარეწი თევზია.

ნ. ნინუა